

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

შ.პ.ს. „გორბი ევრაზია“ ს/კ 405430911

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის და ხარჯების ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შპს „გორბი ევრაზია“-ს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	128 560	3 451
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	953 651	1 468 832
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	2 062	25 357
მარაგები			
მზა პროდუქცია		0	
სხვა -საწვავი			
საინვესტიციო ქონება		0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	40 039	182 960
სხვა არამატერიალური აქტივები	5	4 144	4 144
ძირითადი საშუალებები	6	123 076	265 489
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		1 251 532	1 950 233
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	7	12 995	48 846
ანარიცხები		0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8	3 910	57 122
საგადასახადო ვალდებულებები	9	0	16 466
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10	0	147 996
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები		0	
სხვა ვალდებულებები	11	118 978	41 629
სულ ვალდებულებები		135 883	312 059
კაპიტალი	12	60	187 531
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	13	1 115 589	1450 583
გადაფასების რეზერვი		0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	

სულ საკუთარი კაპიტალი		1 115 649	1 638 174
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 251 532	1 950 233

შპს „გორბი ევრაზია“

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საქმიანობის შედეგები		31/12/2021	31/12/2022
ნეტო ამონაგები		2 938 172	1 629 198
საქონლის გაყიდვიდან		0	
მომსახურების გაწევიდან	14	2 938 172	1 629 198
გაყიდვების თვითღირებულება	15	(1 363 679)	- 1 366 369
საერთო მოგება		1 574 493	262 829
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	
დასაქმებულთა ანაზღაურება			
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი			
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(400 761)	(304 549)
სულ საოპერაციო ხარჯები			
საოპერაციო მოგება		1 173 732	(41 720)
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	17	39 264	376 714
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან			
მიღებული დივიდენდები		0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 212 996	334 994
მოგების გადასახადის ხარჯი		-96	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1 212 900	334 994
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	

საქმიანობის შედეგები		31/12/2021	31/12/2022
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1 212 900	334 994
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		0	1 115 649
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(97 311)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		60	187 531
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	18	1 115 649	1 638 174

2. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გორბი ევრაზია“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდი 405430911 დაარსდა 2021 წლის 5 იანვარს კომპანიის დამფუძნებელი მერაბ ფაჩულია (პ/ნ 01007003464)-100%.

კომპანიის დირექტორია მერაბ ფაჩულია (პ/ნ 01007003464).

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 47, ბინა N88

კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს სოციალური კვლევა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

ვალუტის დასახელება (კურსი)	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2,7020
ევრო/ლარი	2,8844
გირვანქა სტერლინგი	3,2581

ამონაგების აღირება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ

გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ძირითად საშუალებებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო გამოყენების ვადით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება შესაბამისი ქვეჯგუფით რომელსაც მიეკუთვნება ძირითადი საშუალება. 31.12.2022 წლის ბოლოსთვის ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი ქვეჯგუფები მათი სასარგებლო გამოყენების ვადით.

ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა თვე
ელექტრონული მოწყობილობა	60
მსუბუქი ავტომობილები	60
კომპიუტერები	60
ავეჯი ოფისისთვის	60
არამატერიალური აქტივები	1-10 წელი

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები 31.12.2022

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3268.21	ლარი
უცხოური რეზიდენტ ბანკში	19.84	დოლარი
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	43.38	ევრო
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1.34	გირვანქა სტერლინგი

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში. 2022 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშებზე ფიქსირდებოდა ლარი - 3 451,31 ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	953 651	1 468 832

კვლევის დამკვეთები არიან როგორც საქართველოს რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი კომპანიები.

სოციოლოგიური კვლევების ხელშეკრულებები შეიძლება იყოს, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი შესაძლო გადავადებით ან წინასწარი გადახდით.

შედეგად წლიურ ანგარიშგებაში ჩამოყალიბდა შესაბამისი დავალიანება (მყიდველების დებიტორული დავალიანება გაწეული მომსახურებისთვის, გადასახდელი დავალიანება მყიდველების წინაშე, მიღებული ავანსები)

2022 წელს კომპანიამ გამოიყენა საკუთარი დაგროვილი კაპიტალი და განახორციელა ფინანსური დაბანდება მოკლევადიანი სესხის გაცემით იურიდიულ პირზე. ხელშეკრულების პირობები და საპროცენტო განაკვეთი შეესაბამება კანონით დადგენილ პირობებს.

ასევე კომპანიამ განახორციელა მოკლევადიანი ინვესტიცია სხვა იურიდიული პირის კაპიტალის შევსებად რომლის თანადადგენილებს წარმოადგენს შ.პ.ს „გორბი ევრაზია“.

31.12.2022 წ ბალნსში წარმოიშვა დებიტორული დავალიანება არარეზიდენტი კომპანიის მიმართ, რომელიც ხელშეკრულების თანახმად გადახდილია 2023 წელს.

დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში 1

ცხრილში 1

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
გაცემული სესხი	734 480	875 465
მოკლევადიანი ინვესტიციები	153 200	248 700
დარიცხული პროცენტი	43 914	144 208
დებიტორული დავალიანება - რეზიდენტები	19 503	
დებიტორული დავალიანება - არარეზიდენტები		200 459

3. ხელშეკრულების პირობების თანახმად 2022 წელს განხორციელდა წინასწარი გადახდა არარეზიდენტ ქვეკონტრაქტორზე. მომსახურების გაწევა დასრულდა 2023 წლის იანვარში , გაფორმდა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, წინასწარი გადახდა დახურულია.

გაცემული წინასწარი გადახდების დინამიკა წარმოდგენილია მე-2 ცხრილში

ცხრილში 2

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2 062	25 357

4. სხვა მოკლევადიანი აქტივები

2022 წლის იანვარში საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის სტანდარტის ერთმანეთთან დაახლოების მიზნით საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკაში მარაგების აღრიცხვასთან დაკავშირებით შევიდა ცვლილებები. ინვენტარიდან ამოღებულ იქნა თითო ერთეულზე 400 ლარზე მეტი ღირებულების მთელი ქონება. აღნიშნული ქონება შეყვანილ იქნა ძირითად ამორტიზებულ საშუალებებში.

დამატებით 2022 წელს საწარმო გაჩუქების ხელშეკრულებისა და დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გაფორმებული ქონების შეფასების ხელშეკრულების საფუძველზე, ბალანსზე აიყვანა მშენებლობების საინვენტარიზაციო ნივთები. დაუსრულებელი მშენებლობა გადაეცა ფიზიკური პირის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. მარაგთა სტრუქტურა წარმოდგენილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
დაუმთავრებელი მშენებლობა _ ჩუქების ხელშეკრულება		178 967
საოფისე ინვენტარი	38 188	2 579
საწვავი	1 851	1 414
სულ	40 039	182 960

5. კომპანიის არამატერიალურ აქტივებში შედის ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ლიცენზია 1390 ლარის ოდენობით და ანტივირუსული პროგრამა 2754,24 ლარის ოდენობით.

6. ძირითადი საშუალებები

მე-4 ცხრილში მოცემულია ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება 2021-2022 წლების მიხედვით.

ცხრილი 4

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
ძირითადი საშუალებები	123 076	265 489

. დამატებით 2022 წელს საწარმომ ჩუქების ხელშეკრულებისა და დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გაფორმებული ქონების შეფასების ხელშეკრულების საფუძველზე ბალანსზე აიყვანა მიწის ნაკვეთი.

მიწის ნაკვეთი გადაეცა კომპანიამ მიიღო ფიზიკური პირის გაჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ძირითადი საშუალებების სტრუქტურა წარმოდგენილია მე-5 ცხრილში

ძირითადი საშუალებების სტრუქტურა:

ცხრილი 5

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	შესყიდვის ღირებულება_31.12.2021	შესყიდვის ღირებულება_31.12.2022	ცვეთა_31.12.2021	ცვეთა_31.12.2022	ნარჩენი ღირებულება_31.12.2021 1	ნარჩენი ღირებულება_31.12.2022 2
სატრანსპორტო საშუალებები	100 017	100 017	578	23 627	99 439	76 390
კომპიუტერები	8 897	43 069	42	6 278	8 855	36 791
საკომუნიკაციო საშუალებები	7 290	15 447	139	3 196	7 151	12 251
ელექტრონული მოწყობილობა	3 288	3 288	21	3 288	3 267	
საოფისე ინვენტარი	4 364	11 877		2 305	4 364	9 572
მიწა		128 300				128 300
ელექტრონული მოწყობილობა				2 731	546	2 185
სულ	118 856	301 998	780	41 425	123 076	265 489

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს - პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 1-დან 10 წლამდე.

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დინამიკა მოცემული მე-6 ცხრილში

ცხრილი 6

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	12 995	48 846
მათ შორის სავაჭრო ვალდებულებები_რეზიდენტები	90%	86%
სავაჭრო ვალდებულებები_არარეზიდენტები	10%	14%

მომწოდებლებთან ანგარიშსწორება ნებადართულია დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მისი 90% ერიცხება კომუნალური და ადმინისტრაციულ-ეკონომიკური საქმიანობის სხვა

სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებს, რომელთა მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება მიწოდების თვის მომდევნო თვეში.

2022 წელს ლიკვიდობის შემცირების გამო ზოგიერთ რეგულარულ მომწოდებელთან შეთანხმებით მიღწეულ იქნა შეთანხმება

8. დეკემბრის თვის დარიცხული სახელფასო დავალიანება დახურულ იქნა შრომითი ხელშეკრულებების დადგენილი პირობების შესაბამისად.

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3 910	57 122

9. ბიუჯეტში დარიცხული დავალიანება დაიფარა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
საგადასახადო ვალდებულებები	0	16 466

10. პირველ ცხრილში წარმოდგენილი დებიტორული დავალიანების გამო საოპერაციო ხარჯების დასაფარად საწარმოს შეექმნა საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი, რომლის დასაფარადაც მიღებულია BASISBANK-ის ოვერდრაფტი და მესაკუთრის სესხი კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

ცხრილი 7

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	147 996
მათ შორის		
BASISBANK BASISBANK-ის ოვერდრაფტი	0	97 143
Кредит собственник	0	50 191
% кредит собственник	0	653
გადასახდელი დივიდენდები	0	9

11. მყიდველთან დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად საანგარიშო პერიოდის ბოლოს მყიდველისგან მიღებულ ავანსებზე ჩამოყალიბდა დავალიანება. მიღებული ავანსების სტრუქტურა დარჩა 2021 წლის დონეზე და ნაჩვენებია მე-8 ცხრილში. 2023 წელს ეს ავანსები დამუშავდა და დაიხურა მომსახურების რეალიზებით.

ცხრილი 8

დასახელება	31.12.2021	31.12.2022	31.12.2021_%	31.12.2022_%
მიღებული ავანსები_რეზიდენტები	106 828	38 030	90%	90%
მიღებული ავანსები_არარეზიდენტები	12 150	3 599	10%	10%
სულ	118 978	41 629		

12. 2022 წელს საინვესტიციო და ფინანსური ინვესტიციების დასაფინანსებლად მესაკუთრემ საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეიტანა სახსრები 187 531 ლარის ოდენობით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაფიქსირდება იუსტიციის სახლში.

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
სააქციო კაპიტალი	60	187 592

13. გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

2022 ფინანსური წელი კომპანიისთვის შედეგების თვალსაზრისით ნაკლებად წარმატებული იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, სააქციო კაპიტალი და შედეგად, კომპანიის აქტივები გაიზარდა. წლის ბოლოსკენ მდგომარეობა გაუმჯობესდა, კომპანიამ შეთანხმებას მიაღწია რამოდენიმე მსხვილ დამკვეთთან ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ.

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 115 589	1 450 583

14. ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან

დასახელება	31.12.2021	31.12.2022	გადახრა,%
ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან	2 938 172	1 629 198	- 45%

კომპანიის საქმიანობა - საზოგადოებრივი აზრის კვლევა.

მომსახურების დამკვეთები არიან როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი კომპანიები.

2022 წელს გაყიდვების სტრუქტურა გარკვეულწილად შეიცვალა. მომსახურების ძირითადი მომხმარებლები იყვნენ საქართველოს არარეზიდენტი კომპანიები. ცხრილ 9-ში აღწერილია გაყიდვების შედარებითი სტრუქტურა 2021-2022 წ

ცხრილი 9

წელი	მყიდველები_რეზიდენტი	მყიდველები_არარეზიდენტი
2021	69 %	31%
2022	10 %	90%

15. გაყიდვების თვითღირებულება

საქმიანობის სპეციფიკა - კვლევის განსახორციელებლად საჭიროა დიდი მოცულობით მომსახურების მიღება როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისგან (ინტერვიუერები), აღნიშნული ფიზიკური პირები არ წარმოადგენენ კომპანიაში მუდმივად დასაქმებულ პირებს და მათთან თანამშრომლობა ხდება კონკრეტული პროექტისა და დასახული ამოცანის შესრულების მიზნით.

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
გაყიდვების თვითღირებულება	1 363 679	1 366 369

ზღვრული ღირებულების სტრუქტურა წარმოდგენილია მე-10 ცხრილში მითითებული პუნქტებით

ცხრილი10

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
ფიზიკურ პირებზე გადახდილი მომსახურების ანაზღაურება	780 494	566 200
იურიდიულ პირებზე გადახდილი ანაზღაურება_არარეზიდენტები	419 467	368 314
პირდაპირი ხელფასი დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები	134 018	392 440
მომსახურების ანაზღაურება იურიდიული პირები_რეზიდენტები	29 700	33 132
ძირითადი მასალის დანახარჯები		6 283

2022 წელს საწარმოს სააღრიცხვო ფინანსურ პოლიტიკაში ცვლილება შევიდა, რომელიც დაკავშირებულია ხარჯების მიკუთვნებასთან, რიგ პოზოციებზე დასაქმებულთა ხელფასებთან მიმართებაში. მიზანშეწონილია მათი ხელფასი მიეკუთვნებოდეს პუნქტს „პირდაპირი ხელფასი დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები“ და გამოირიცხოს პუნქტიდან „შრომის ანაზღაურება“ ვინაიდან სამუშაო დროის უმეტეს ნაწილს ისინი ატარებენ ძირითად საწარმოო პროცესში.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, რომ მატერიალურობის პრინციპიდან გამომდინარე (< 5% ჯამური სახელფასო ფონდიდან) ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის თანამშრომელთა ხელფასები არ გამოიყოს და დაირიცხოს პუნქტით „პირდაპირი ხელფასი დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები“

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	400 761	304 549

საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა მითითებული მუხლებით წარმოდგენილია მე-11 ცხრილში .

ცხრილი 11

დასახელება	31.12.2021	31.12.2022	%_31.12.2021	%_31.12.2022
შრომის ანაზღაურება	240 110		60%	0%
იჯარის ხარჯი		70 077		23%
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	44 372	63 516	11%	21%
მივლინების ხარჯები	28 856	230	7%	0%
იურიდიული მომსახურება	18 317	36 000	5%	12%
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	17 308	58 210	4%	19%
ადმინისტრაციული/საკონსულტაციო ხარჯი	17 124	2,732	4%	1%
სოციალური გადასახადი	11 976	10 152	3%	3%
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	9 414	2 469	2%	1%
საბანკო მომსახურება	5 869	4 583	1%	2%

დასახელება	31.12.2021	31.12.2022	%_31.12.2021	%_31.12.2022
სამეურნეო ხარჯები	4 672	14 883	1%	5%
ძირითადი საშუალებების ცვეთა	2 159	38 461	1%	13%
სხვა საერთო ხარჯი	584	3236	0%	1%
სულ	400 761	304 549	100%	100%

17. სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	39 264	376 714

სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა გაშიფრვა წარმოდგენილია მე-12 ცხრილში

ცხრილი 12

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
არასაოპერაციო შემოსავლები საფუძველი - ფიზიკური პირის ჩუქების ხელშეკრულება		307 267
არასაოპერაციო შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	7 882	10 371
არასაოპერაციო შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან- დადებითი კურსთა შორის სხვაობა	7 716	
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	31 000	
არასაოპერაციო შემოსავალი- სესხზე დარიცხული პროცენტი	43 914	100 294
არასაოპერაციო ხარჯი სავალუტო სახსრების გადაფასება-უარყოფითი კურსთა შორის სხვაობა	- 12 628	-29 323
% გასავალი		-11 485

დასახელება	31.12.2021	31.12.2022
ჯარიმები/ საურავები		-280
შუამავალი ბანკის საკომისიო		-130
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღ-ბა	-38 620	
სულ	39 264	367 714

18. 2022 წლის ეკონომიკური წლის შედეგების მიხედვით კომპანიას ჰქონდა დადებითი ფინანსური შედეგი 304 994 ლარის ოდენობით. მფლობელის მიერ კაპიტალში დამატებითი შენატანმა შეადგინა 187 531 ლარი. 2022 წლის ბოლოს საკუთარი კაპიტალი 492 595 ლარით გაიზარდა და 31.12. 2022 წლისთვის შეადგინა 1 638 174 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 21 სექტემბერს.